MES 3 22 0000701772

24/06/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.06.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:40სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ირინა გველესიანი - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
3. **თამარ ზარანდია - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
4. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **თეა მჭედლური -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
8. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
9. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
10. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **დავითჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სამსახურის სპეციალისტი
4	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	დაწესებულება	პოზიცია	საკითხი
1	ნინო ტალიაშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	სოფიო ხუნდაძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	I
3	იოსებ კელენჯერიძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	I
4	ნინო ფეტვიაშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი	I
5	ნათია არაბული	შპს ევროპის უნივერსიტეტი	საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი	I
6	მარიამ რამინაშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	აფილირებული ასისტენტ-პროფესორი	I
7	ნინო გაგელიძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	I
8	ელენე ჩოქური	შპს ევროპის უნივერსიტეტი	სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის მენეჯერი	I
9	ლელა წითაშვილი	სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	II
10	რევაზ ზედგინიძე	სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	კახაბერ კორძაია	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	III
12	ვახტანგ წივწივაძე		კანცლერი	III

		შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი		
13	მარინა გედევანიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
14	გიორგი აბაშიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი	III
15	ლალი მიქელაძე	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ტურიზმის საბაკალავრო პროგამის ხელმძღვანელი	III
16	მაია ჭიჭილეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	IV
17	ქეთევან ვაჩეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
18	მაია კიკვაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ინგა ლომაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო ჩიკვაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნინო გრძელიშილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ბელა ჯაფოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ვლადიმერ ბერაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ვალერი არღუთაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ეკა დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	მარიამ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	ნინო პოპიაშილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	ზაალ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	ნინო ჯახველაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს ევროპის უნივერსიტეტის "საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული“ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს ევროპის უნივერსიტეტის "საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული“ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის "საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული“ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი (საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელი)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	საბაზო/საშუალო საფეხური, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	გურამიშვილის გამზ. N76, თბილისი, 0141, საქართველო სარაჯიშვილის ქ. N17, თბილისი, 0189, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს - ეკატერინე ნაცვლიშვილმა და მაკა კაჭარავამ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, 2022 წლის 24 თებერვალს განხორციელდა ვიზიტი შპს ევროპის უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, საბიბლიოთეკო ფონდი, სასწავლო ლაბორატორიები. შერჩევითად გადამოწმდა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა, სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ფუნქციონირება, საბიბლიოთეკო მომსახურება და შესაბამისი პლადფორმები.
დაწესებულებაში პირისპირ ვიზიტის მეორე დღეს, ამავე წლის 25 თებერვალს განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დისტანციურად (ზუმის პლადფორმის გამოყენებით) „საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან ინტერვიუებისა და პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისათვის საჭირო მონაცემების შეგროვების მიზნით.
ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
დისტანციური ვიზიტისას სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.
შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლის, დაწესებულების ადგილზე დათვალიერებისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ მონაცემების.
შპს ევროპის უნივერსიტეტის "საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები -შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის სწავლის შედეგებთან;
2. გაიზარდოს რეალური ლაბორატორიული სამუშაოს მოცულობა;
3. სასწავლო კურსები „ზოგადი ქიმია“, „ორგანული ქიმია 1“, „ორგანული ქიმია 2“ , „არაორგანული ქიმია 1“, „არაორგანული ქიმია 2“ გაძლიერდეს სწავლების საფეხურის შესაბამისი დონის ძირითადი ლიტერატურით.
4. გადაიხედოს კვლევის კომპონენტში შეთავაზებული კურსების შეფასების კომპონენტები. აღნიშნული კურსებისთვის განისაზღვროს პრაქტიკული კვლევითი უნარების რელევანტური შეფასების კომპონენტები და ინსტრუმენტები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერიმენტის/ლაბორატორიული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია სილაბუსებში განსაზღვრულია თემისა და საჭიროებიდან გამომდინარე. დასკვნის პროექტის აღწერით ნაწილში დასახელებულ სასწავლო კურსებში „ზოგადი ქიმია“, „ორგანული ქიმია 1“, „ორგანული ქიმია 2“ „არაორგანული ქიმია 1“, „არაორგანული ქიმია 2“, “ბოტანიკის ზოგადი კურსი” გამოყენებულია როგორ ლაბორატორიული მუშაობა, ასევე, ვირტუალური ექსპერიმენტები. მისი თქმით, დასახელებულ სასწვლო კურსებში ლაბორატორიული მუშაობისთვის, ასევე, ვირტუალური ექსპერიმენტებისთვის გამოყოფილი საათების მოცულობა საკმარისია სასწავლო კურსების თემატიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, თუმცა იზიარებენ მოსაზრებას სასწავლო კურსსთან „მიკრობიოლოგია“ დაკავშირებით. აღნიშნულ სასწავლო კურსში დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა და სამუშაო ჯგუფში მუშაობისთვის განკუთვნილი საათების მოცულობა ნამდვილად ეთმობა ლაბორატორიულ მუშაობას და არა დისკუსია/დებატებს. შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსში მოხდება აღნიშნული საკითხის ჩასწორება.

რაც შეეხება სახელმძღვანელოების საკითხს, ლიტერატურა სილაბუსებში მითითებულია თემატიკის შესაბამისად, სახელმძღვანელოების დეტალური ჩამონათვალი კი დაწესებულების მიერ წარმოდგენილია. დაწესებულება მიიჩნევს, რომ ლიტერატურად განსაზღვრულია ასევე უახლესი გამოცემები, თუმცა რის დამატებას საჭიროებს სილაბუსი უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის გაუგებარია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხებზე ფოკუსირება ხდება სასწავლო კურსებში „კვლევის ინოვაციური მეთოდები განათლებაში“, „პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა“, „დიაგნოსტიკური კვლევა და დიფერენცირებული მიდგომა“, “პედაგოგიური პრაქტიკა 1“, „პედაგოგიური პრაქტიკა 2“, აღნიშნული აქტივობების დამატება, კურსების შინაარსით გათვალისწინებულ ქმედებებთან ერთად, შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს, მოახდინოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მათზე დაყრდნობით პროფესიული განვითარების ხედვის/გეგმის ჩამოყალიბება. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინტეგრირებულად სწავლების საკითხები, ინტეგრირების მნიშვნელობა საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისას, პრობლემის ოპტიმალური გადაჭრის გზების ძიება ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოწვევების დაძლევის მიზნით, მეთოდები და სტრატეგიები განხილულია მეთოდიკის სასწავლო კურსებში. დაწესებულება მზადაა გაიზიაროს აღნიშნული რეკომენდაცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ ცვლის სასწავლო კურსებით დადგენილი თემატიკის სწავლების ანდა სასწავლო კურსით დადგენილი შედეგების მიღწევის საკითხს. აქედან გამომდინარე, დაწესებულება თვლის, რომ წარმოდგენილი მოსაზრება უფრო რჩევის ხასიათისაა, ვიდრე რეკომენდაციის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ისაუბრა ლიტერატურის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში შესაბამისი ლიტერატურა არის წარმოდგენილი, რიგ შემთხვევებში როდესაც ერთ სილაბუსში სახელმძღვანელოები განსაზღვრულია დამატებით ლიტერატურიდან, მეორეში მოცემულია ძირითადი ლიტერატურის სახით. აქვე მნიშვნელოვანია სილაბუსების აკადემიური ლიტერატურით შევსება. გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა არის საბაკალავრო-სამაგისტრო, ლიტერატურა უნდა იყოს ისეთი, რომელიც სიღრმისეულ თეორიულ ცოდნას იძლევა. ამასთან, სილაბუსებში ასახული თემები საჭიროებს თემატიკების ჩაშლას, როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ კომპონენტში.
რაც შეეხება რიდერებს, რიდერი, როგორც ძირითადი ლიტერატურა მოცემულია მხოლოდ ორგანული ქიმიის სილაბუსში, ხოლო „ჰენდაუთები“ მოცემულია დამატებით ლიტერატურაში. აქედან გამომდინარე, რომ ლიტერატურა მოიცავს საკმაოდ კარგ ინგლისურენოვან ლიტერატურას, თუმცა უკეთესია ამ ლიტერატურის ქართულენოვანი ლიტერატურით შევსება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დააზუსტა თუ როგორ მიმდინარეობდა ორგანული ქიმიის, ზოგადი ქიმიისა და არაორგანული ქიმიის სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები პანდემიის პირობებში. ამასთანავე, რა დრო დაეთმობა ვირტუალურ ექსპერიმენტებს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ ქიმიას ეთმობა 25 კრედიტი, ხოლო ფიზიკასა და ბიოლოგიას 42 და 45 და დააზუსტა თუ რით აიხსნება ამხელა სხვაობა ქიმიასა და ფიზიკა-ბიოლოგიას შორის. ამასთან აღსანიშნავია პროგრამის მე-10 შედეგი, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების მიზნით იყენებენ ახალ სტრატეგიულ მიდგომებს, ეთიკური ქცევის ნორმებისადმი, ავლენენ პროფესიულ პასუხისმგებლობას მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, ამყარებენ კომუნიკაციას მშობლებთან. ესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ როგორ არის შესაძლებელი ამ შედეგზე თეორიული სასწავლო კურსებით გასვლა.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა აღნიშნა, რომ ბოლო პრაქტიკული კომპონენტი არის ყველა მე-9 სემესტრში. ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორ ხდება სკოლის მეთოდისტთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და აქვს თუ არა მეთოდისტს სტუდენტის შეფასების უფლება.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დააზუსტა, არსებული ლიტერატურა, რომელიც დღეს წარმოდგენილია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, არის თუ არა საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტმა მიიღოს შესაბამისი ცოდნა, რაც პროგრამის მიზნებშია გაწერილი.
ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა მოუწოდა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამის ადამიანურ რესურსზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა ისაუბრა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილნი არიან სფეროს წამყვანი ექსპერტები და დარგის სპეციალისტები, რომლებიც ჩართულნი არიან თანამედროვე პროცესებში, არიან ტრენერები და აქვთ სკოლაში მუშაობის გამოცდილება. ამასთან, არიან სახელმძღვანელოების ავტორები. პროგრამის ადამიანური რესურსი დასახელდა ძლიერ მხარედ.
ექსპერტმა, ასევე, ისაუბრა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ორგანული ქიმიის სილაბუსი უნდა აუცილებლად შეივსოს კლასიკური ლიტერატურით.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ დარგობრივი სტანდარტი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის პროგრამაში არსებული სილაბუსების ფარგლებში სრულდება. შესაბამისად, იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც ექსპერტთა მიერ იქნა განსაზღვრული პროგრამა სრულად გავა სწავლის შედეგებზე.
ნათია-ზედგინიძე ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ თუ საკითხი მინიმალურ სტანდარტს აკმაყოფილებს, რამდენად შესაძლებელია აღნიშნული განხილული იყოს რეკომენდაციის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქიმიის ლიტერატურა ქართულ ენაზე, რომელიც საგნობრივად არის აუცილებელი საკმაოდ მწირია. განათლების სამინისტრომ, სპეციალურად მასწავლებლებისთვის სამაგიდო წიგნად რეკომენდაცია გაუწია სილაბუსში მითითებულ ორ სახელმძღვანელოს. ამასთან დაწესებულება აქტიურად იყენებს უცხოურ სახელმძღვანელოებს, რომლებიც წარმოდგენილია მატერიალური სახით.
რაც შეეხება პრაქტიკას, პროგრამას ჰყავს პრაქტიკის ხელმძღვანელი, ხოლო სკოლაში სტუდენტებს ხვდებათ მენტორი. სკოლისა და მისი წარმომადგნელების შერჩევა ხდება წინასწარ, შეხვედრის საფუძველზე, აღნიშნულისთვის დაწესებულებას აქვს, ასევე, შემუშავებული სპეციალური დოკუმენტი. თითოეულ პრაქტიკას აქვს თავისი მიზანი და შეფასები კრიტერიუმი, რომელიც დეტალურად არის გაწერილი თითოეული ნაწილისთვის, კერძოდ, ერთი ფასდება რეფერატით, ხოლო მეორე პრაქტიკის ანგარიშის დაცვით.
ლაბორატორიებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა დააზუსტა, რომ უნივერსიტეტს აქვს როგორც ფიზიკური, ისე ვირტუალური ლაბორატორია. რაც შეეხება პანდემიას, პანდემიის დროს პროგრამა არ განხორციელებულა, ვინაიდან არის ახალი.
რაც შეეხება მე-10 სწავლის შედეგს, პროგრამა სასწავლო კურსების ერთობლიობით სრულად გადის აღნიშნულ შედეგზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:01
დასრულების დრო: 15:17

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის სწავლის შედეგებთან;
2. გაიზარდოს რეალური ლაბორატორიული სამუშაოს მოცულობა;
3. სასწავლო კურსები „ზოგადი ქიმია“, „ორგანული ქიმია 1“, „ორგანული ქიმია 2“ „„არაორგანული ქიმია 1“, „არაორგანული ქიმია 2“ გაძლიერდეს სწავლების საფეხურის შესაბამისი დონის ძირითადი ლიტერატურით.
4. გადაიხედოს კვლევის კომპონენტში შეთავაზებული კურსების შეფასების კომპონენტები. აღნიშნული კურსებისთვის განისაზღვროს პრაქტიკული კვლევითი უნარების რელევანტური შეფასების კომპონენტები და ინსტრუმენტები.

რჩევები:

- დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის შემუშავების პროცესში პოტენციურ დამსაქმებელთა ჩართულობა;
- დამსაქმებლებთან ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების რეპრეზენტაციულებისა და მაღალი სანდოობისათვის, სასურველია, გაიზარდოს გამოკითხული სკოლების რაოდენობა;
- სასურველია, შეფასებისას (მაგ. პრეზენტაციის, დისკუსია-დებატების და სხვ.) გამოყენებული იყოს არა ჰოლისტური რუბრიკა, არამედ ანალიტიკური რუბრიკა, რომელიც შესაბამისი კრიტერიუმების/რუბრიკების სწორად შერჩევით, შეფასებას გახდის უფრო სანდოს და ობიექტურს;
- სასურველია პროგრამის ამუშავების შემდგომ პროგრამის პაკეტი გადაეცეს უცხოელ დარგის ექსპერტებს გარე შეფასების მიზნით;
- სასურველია, ცალკეული აკადემიური პროცესების კიდევ უფრო მკაფიოდ შესწავლის მიზნით, მონიტორინგის კონკრეტული მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელსაც დაექვემდებარება ინსტიტუციაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის "საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის "საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

15:19 სთ-ზე საბჭოს სხდომა დატოვა თამარ ზარანდიამ.

მეორე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13.09.2012 გადაწყვეტილება N384
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკოლოგიის საბაკალავრო (ძირითადი და დამატებითი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0521 - გარემოსმცოდნეობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122 უნივერსიტეტის II კორპუსი, საქართველო, 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ "ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა „ჰიბრიდული“ მეთოდით: ექსპერტთა ჯგუფის აკრედიტაციის პროცესით გათვალისწინებული ინტერვიუირება დისტანციურად, zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორცილდა 2022 წლის 28 მარტს, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა ადგილზე ვიზიტით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით, დისტანციური მუშაობის რეჟიმის შეფერხებების გარეშე. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის საფუძველზე, რომლის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცე და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. დაემატოს სავალდებულო საგანი „ზოოლოგია“, რადგან მომავალი ეკოლოგებისათვის მნიშვნელოვანია ზოოლოგიის საბაზისო ცოდნა.
2. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გასაზიარებლად დაწესებულებამ დოკუმენტური სახით პერიოდულად უზრუნველყოს საბაკალავრო პროგრამის შედარება/დადარება საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან. შერჩეული, შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნას ასეთი უნივერსიტეტების მაგალითები და შეიქმნას შედარების ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მიმართულია პროგრამის განვითარებისკენ და, შესაბამისად, დაწესებულების მიერ სრულად იქნება გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის სილაბუსში ისე არის საკითხები ჩაშლილი, რომ აუცილებლად საჭიროებს ზოოლოგიის ცოდნას და დააზუსტა, თუ როგორ ხდება პრაქტიკის განხორციელება იმ პირობებში, რომ პროგრამა არ ითვალისწინებს ზოოლოგიის სასწავლო კურსს. ამასთან, მთლიანი სასწავლო პრაქტიკა გათვალისწინებულია

მე-7 სემესტრში, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორ ხდება აღნიშნული პრაქტიკის განხორციელება სასწავლო პროცესის პარალელურად და ჰყავს თუ არა პრაქტიკას თავისი ხელმძღვანელი.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ბიომრავალფეროვნება არ არის მხოლოდ მცენარეთა მრავალფეროვნება. ლიტერატურაში გამოყენებულია მხოლოდ მცენარეთა ეკოლოგია და ადგილობრივი ფლორა. შესაბამისად, რამდენად მიზანშეწონილია, რომ ძირითად ლიტერატურაში არ არის გამოყენებული ლიტერატურა, რომელიც ცხოველთა მრავალფეროვნებაშიც მიაწვდიდა სტუდენტს ინფორმაციას. რაც შეეხება ტოქსიკოლოგიის სასწავლო კურსს, აღნიშნულ საგანს უძღვება ვეტერინარის დოქტორი.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა თუ როგორია პროგრამის ფარგლებში დასაქმების მაჩვენებელი.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დააზუსტა თუ რა ღონისძიებებს ატარებს დაწესებულება დასაქმების მაჩვენებლის გაზრდის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამას უკვე დაემატა ზოოლოგიის სასწავლო კურსი, სილაბუსი უკვე გაკეთებულია, ხოლო სასწავლო კურსი მოიცავს 4 კრედიტს. მასში შესულია როგორც ხერხემლიანი, ისე უხერხემლო ცხოველები.
რაც შეეხება საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას, დაწესებულება მუდმივად ეცნობა საერთაშორისო პროგრამებს, რომლებიც ღია სივრცეში მისაწვდომია და, შესაბამისად, ახორციელებს დადარებას, თუმცა ამას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათ, შესაბამისად აუცილებლად მოხდება ამ კუთხით რეკომენდაციის გათვალისწინება.
მნიშვნელოვანია ასევე პრაქტიკის განხორციელების საკითხი. კერძოდ, პრაქტიკის განხორციელების დროს ცხრილი დგინდება იმგვარად, რომ სტუდენტებს არ ჰქონდეთ ლექციები, ამ პერიოდში კი ხდება გასვლა ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში. პრაქტიკის ადგილას ყოველთვის იმყოფება ასევე მენტორი, რომელიც სტუდენტების შეფასებაშიც იღებს მონაწილეობას.
რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებელს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დასაქმების მაჩვენებელი არის 65%, ხოლო სპეციალობის მიხედვით 23%. დასაქმების მაჩვენებლის შეფასება ხორციელდება ყოველ 2-3 წელიწადში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:42
დასრულების დრო: 15:47

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამი სშეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:
1. დაემატოს სავალდებულო საგანი „ზოოლოგია“, რადგან მომავალი ეკოლოგებისათვის მნიშვნელოვანია ზოოლოგიის საბაზისო ცოდნა;
2. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გასაზიარებლად დაწესებულებამ დოკუმენტური სახით პერიოდულად უზრუნველყოს საბაკალავრო პროგრამის შედარება/დადარება საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან. შერჩეული, შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნას ასეთი უნივერსიტეტების

მაგალითები და შეიქმნას შედარების ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

რჩევები:

- შესაძლებელია გლობალურ ეკოლოგიასა და ეკოლოგიის საფუძვლების ერთ საგნად გაერთიანება;
- ეკოგეოფიზიკა, ფიზიკა და რადიაციული ეკოლოგია სამი 4 კრედიტიანი ცალკე საგანია, შესაძლებელია შესასწავლი საკითხები ინტეგრირდეს ორ 5 კრედიტიან საგანში;
- კარიერული კუთხით მომუშავე სამსახურმა კიდევ უფრო მეტად აქტიურად იმუშაოს დასაქმების ბაზარზე, საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის გაზრდის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მესამე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	20.11. 2012 გადაწყვეტილება № 678
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტურიზმი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა #73 , ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 10141 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - ნინო ჭალაგანიძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 15 აპრილს ადგილზე ვიზიტის საფუძველზე. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეკითხვების ჩამონათვალი. უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტების და მასალების წარმოდგენის თხოვნა, მათ შორის: სხვადასხვა შეფასების მქონე საბაკალავრო

ნაშრომები; სხვადასხვა შეფასების მქონე პრაქტიკის დღიური/ ანგარიში; საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა; ელექტრონულ რესურსულ ბაზებზე წვდომის სტატისტიკა. უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მოდიფიცირებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში აისახოს ასპექტი, სამიზნე ნიშნულიდან რა სიდიდის გადახრის შემთხვევაში განხორციელდება პროგრამის ცვლილება.
2. პროგრამაში საფაკულტეტო ან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენილი იქნას ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსი.
3. რეკომენდებულია გადამოწმდეს დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებთან მიმართებით, როგორიცაა: ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი“, ,,ტურიზმის მარკეტინგი“, ,,ეკო, აგრო და ღვინის ტურიზმი“, ,,ველნეს ტურიზმი“ და დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ,,ტურიზმის საფუძვლები.”
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსს: ,,ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი”, ტურიზმის საფუძვლების გარდა, წინაპირობად დაემატოს მენეჯმენტის საფუძვლები;
5. რეკომენდებულია დაკორექტირდეს ,,ღონისძიების მენეჯმენტის და MICE ტურიზმი”-ს წინაპირობა: ტუროპერეიტინგის ნაცვლად აისახოს ტურიზმის საფუძვლები და მენეჯმენტის საფუძვლები.
6. რეკომენდებულია ჩასწორდეს ტეექნიკური ხარვეზები საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობებში და სასწავლო კურსის ,,ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები” სილაბუსში სემესტრული განაწილებისა და კურსზე დაშვების წინაპირობისასთან დაკავშირებით.
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში (ტურიზმის მარკეტინგი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი, ტურისტული დესტინაციების

მენეჯმენტი, ტურიზმის სტატისტიკა, ეკონომიკის პრინციპები, მარკეტინგის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ფინანსების თეორია, წერის უნარები, ტუროპერეიტინგი და ა.შ.) წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურის განახლება.

8. რეკომენდირებულია ,,საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესში" აისახოს ინფორმაცია კონკრეტული ინფორმაცია პლაგიატთან, ან ტექსტის დამთხვევის სამიზნე ნიშნულთან დაკავშირებით. ასევე, საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები და მექანიზმები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც სააკრედიტაციოდ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მოქმედი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმიდან ჩანს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის სამიზნე ნიშნულია სტუდენტთა 70%, ანუ, თუ სტუდენტთა 70% მიაღწევს პროგრამის სწავლის შედეგებს (E-A შეფასებებით), ითვლება რომ პროგრამის სწავლის შედეგები სტუდენტთა 70%-ის მიერ მიღწეულია.

როგორც მოქმედი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშიდან ჩანს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პროცენტული მაჩვენებელი საშუალოდ 66%-ია, ანუ A-D შეფასებები მიიღო სტუდენტთა 66%-მა, E შეფასება არცერთ სტუდენტს არცერთ საგანში არ მიუღია, რაც საფუძველი გახდა მიზეზების კვლევისა (სამიზნე ნიშნულიდან მინიმუმ 4- 5%-ის გადახრის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად იწყებს არასასურველი შედეგების გამომწვევი მიზეზების კვლევას). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განმეორებით იქნა შესწავლილი ყველა იმ სასწავლო კურსის სილაბუსი, რომლის სწავლის შედეგების მიღწევაც გაუჭირდათ სტუდენტებს. შესწავლილ იქნა სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, სავალდებულო ლიტერატურის სირთულე, ყოველკვირეულად მოსამზადებელი საკითხებისა და ლიტერატურის მოცულობის ადეკვატურობა, შესწავლილ იქნა სტუდენტთა მიერ პროფესორთა და სასწავლო კურსების შესახებ გამოკითხვის შედეგები, მოსმენილ იქნა პროფესორთა მოსაზრებები და არგუმენტირებული პოზიციები კონკრეტულ სასწავლო კურსებში სტუდენტთა მიერ მიღებულ უარყოფით და დაბალ შეფასებებთან დაკავშირებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა ლექციებზე დასწრება. აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მოხდა სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდების, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების, სავალდებულო ლიტერატურის და ყოველკვირეულად მოსამზადებელი საკითხების გასწორება. გარდა ამისა, ცვლილებები განხორციელდა თავად პროგრამაშიც.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ადამიანური რესურსების მართვის საკითხები ისწავლება პროგრამით გათვალისწინებულ რამდენიმე სასწავლო კურსში: 1. მენეჯმენტის საფუძვლები; 2. ბიზნესის საფუძვლები; 3.სასტუმროს მენეჯმენტი; 4. ღონისძიებების მენეჯმენტი MICE ტურიზმი' 5. ლიდერობა და გუნდის მართვა.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, აღნიშნული რეკომენდაცია ,,ღონისძიების მენეჯმენტის - MICE ტურიზმი"-ს სასწავლო კურსის წინაპირობებთან დაკავშირებით დაწესებულებამ ასევე მიიღო გარე ექსპერტისგანაც და შესაბამისად გაითვალისწინა, რასაც მოწმობს ჩანაწერი პროგრამის სტრუქტურაში. ამას ადასტურებს დასკვნის პროექტში 5.2 ქვეკომპონენტის შეფასების ნაწილში ექსპერტთა ჩანაწერი „ექსპერტ მ. აზმაიფარაშვილის რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე სასწავლო კურსს „ღონისძიებების მენეჯმენტი - MICE ტურიზმი" შეეცვალა წინაპირობა და „ტუროპერეიტინგის ნაცვლად წინაპირობად განესაზღვრა „ტურიზმის საფუძვლები" და „მენეჯმენტის საფუძვლები". ჩანაწერი წინაპირობებთან

დაკავშირებით შესასწორებელი დარჩა სილაბუსში, რაც ტექნიკური უზუსტობაა და დღეისათვის გასწორებულია.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის პასუხად, საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობებიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „სატრანსპორტო მომსახურება და გადაზიდვები“, რომელიც, ცხადია, როგორც სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი ვერ იქნება წინაპირობა. რაც შეეხება სასწავლო კურსს ,,ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები”, როგორც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურიდან და სასწავლო გეგმიდან ჩანს, ისწავლება VI სემესტრში. შესაბამისად, ტექნიკური უზუსტობაა სილაბუსში (სწავლების სემესტრი I სემესტრი იყო დაფიქსირებული), რაც დღეისათვის გასწორებულია.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, ყოველი ახალი სემესტრის დაწყებამდე, პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესორებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან აქვთ დავალება, მათი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, განაახლონ სილაბუსები, მათ შორის სავალდებულოდ მითითებული ლიტერატურა, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ყოველკვირეული თემატიკა.
აქვე უნდა აღინიშნოს მე-8 რეკომენდაცია, კერძოდ უნივერსიტეტში არსებობს „პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი“, რომელიც საჯაროა, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ნებისმიერი სტუდენტისთვის და აკადემიური პერსონალისთვის (იხ. უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.ciu.edu.ge იურიდიული ცნობარი). მასში დეტალურადაა გაწერილი სამივე საფეხურის სტუდენტთათვის: პლაგიატის პრევენციის საკითხები; პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები; პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები; პლაგიატის დადასტურება და შესაბამისი სანქციები საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომისთვის; პლაგიატის დადასტურება და შესაბამისი სანქციები დოქტორანტისა და აკადემიური პერსონალისათვის; ასევე გასაჩივრების წესები. (იხ. „პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი“). რაც შეეხება რეკომენდაციას საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში განსახორციელებელ პროცედურებთან და მექანიზმებთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ იქნა და „საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესს“ დაემატა მუხლი 12[1] პლაგიატი, ხოლო მე-15 მუხლს მე-8 და მე-9 პუნქტები:
8. თუ საბაკალავრო ნაშრომი საბოლოოდ შეფასდება 41-დან 50-ქულამდე, ნაშრომის დაცვა მოხდება შემდეგ სემესტრში. ერთი საბაკალავრო ნაშრომი დაცვაზე შესაძლებელია გავიდეს მხოლოდ ორჯერ, სხვადასხვა სემესტრში.
9. თუ საბაკალავრო ნაშრომი საბოლოოდ შეფასდება 40 და ნაკლები ქულით, ბაკალავრს უფლება არ აქვს გადაამუშაოს იგივე თემა შემდეგ სემესტრში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინა ლონჟანიძემ დააზუსტა სავალდებულოა თუ არა საბაკალავრო ნაშრომის დაცვა პროგრამის ფარგლებში, ასევე, რომელი პროგრამით ხდება პლაგიატზე შემოწმების უზრუნველყოფა.
საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, ადამიანური რესურსების გარდა სხვა საკითხებიც იქნება დასამატებელი პროგრამაში, მათ შორის ლიდერობა და გუნდის მართვა. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ სად იფარება აღნიშნული საკითხები პროგრამის ფარგლებში. ამასთან აღსანიშნავია ,,მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსი, რომლის საკითხებიც ვერ დაფარავს სილაბუსში გაწერილ მიზნებსა და შედეგებს.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ გასაუმჯობესებელ საკითხებში მოცემულია რომ უნდა მოხდეს სტუდენტების ჩართულობის გაზრდა გაცვლით პროგრამებში. მნიშვნელოვანია ასევე, რომ აკადემიური პერსონალის მობილობა ჭარბობს სტუდენტებისას.

ამასთან, სტრატეგიულ მიმართულებებში მოცემულია, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტები მოამზადოს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის ინგლისურ ენასა და კომუნიკაციაში. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა ბერკეტები არსებობს ამისათვის. ამასთან მე-3 სტანდარტში იკითხება საერთაშორისო სტუდენტებისათვის თანატოლი მენტორების შერჩევის ნაწილი, მაგრამ რამდენად შესაძლებელია აღნიშნულის ამ ეტაპზე განხორციელება, მაშინ როდესაც პროგრამას არ აქვს ინგლისურენოვანი კომპონენტი.
ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ როგორ უზრუნველყო დაწესებულებამ პრაქტიკები პანდემიის პირობებში. გარდა ამისა, რა როლი აქვს შეფასებაში მენტორს და ვინს შეიძლება იყოს იგი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა ადამიანური რესურსები მართვის სასწავლო კურსთან დაკავშირებით განმარტა, რომ ადამიანური რესურსების მართვის საკითხები ისწავლება პროგრამით გათვალისწინებულ რამდენიმე სასწავლო კურსში: 1. მენეჯმენტის საფუძვლები; 2. ბიზნესის საფუძვლები; 3.სასტუმროს მენეჯმენტი; 4. ღონისძიებების მენეჯმენტი MICE ტურიზმი’ 5. ლიდერობა და გუნდის მართვა. მიუხედავად ამისა, დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს რეკომენდაციას და გააძლიერებს ამ კუთხით მენეჯმენტის მიმართულებას.
რაც შეეხება პრაქტიკას, პროგრამის ფარგლებში პრაქტიკა ხორციელდება შედეგობრივად. მენტორი ინიშნება უნივერსიტეტის მიერ. პრაქტიკის პერიოდში მუდმივად ხდება მიმდინარე სამუშაოს აღრიცხვა, რომელსაც სტუდენტები ანგარიშთან ერთად აწარმოებენ და საბოლოოდ მას ამოწმებს უნივერსიტეტის მენტორი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში საკმაოდ წარმატებით განხორციელდა პრაქტიკები, რაც მიმდინარეობდა online რეჟიმში, დარგობრივ ასოციაციებთან თანამშრომლობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია აუცილებლად გადახედავს მენეჯმენტის საფუძვლების სილაბუსს და გაატარებს შესაბამის ცვლილებებს. რაც შეეხება პროექტების მართვას, 20 კრედიტის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ საშუალება აირჩიონ თავისუფალი კრედიტები და ასევე აირჩიონ პროექტების მართვა მენეჯმენტის პროგრამიდან.
რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, იგი მოიცავს 10 კრედიტს და სწორედ მისი ჩათვლით არის პროგრამა 240 კრედიტიანი, შესაბამისად წარმოადგენს სავალდებულო კომპონენტს. მნიშვნელოვანია, ასევე პლაგიატის საკითხიც, კერძოდ დაწესებულება იყენებს პლაგიატის სისტემას, სადაც ხდება ყველა კომპონენტის დამოწმება, თუმცა დაწესებულება აწარმოებს მოლაპარაკებებს და აპირებს გადავიდეს turnitin-ის პროგრამაზე.
მნიშვნელოვანია, ასევე სტუდენტების ჩართულობის ნაწილი, კერძოდ სტუდენტებს აქვთ შემოთავაზება, რომ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობაში და ხანდახან ჭირს ხოლმე სტუდენტების არჩევა, ამიტომ კანცლერმა გამოსცა ბრძანება, რომ კანცლერის დაფინანსებით შეირჩევიან ისეთი სტუდენტები, რომლებსაც აქვთ პოტენციური საფუძველი იმისა, რომ მოემზადონ ინგლისურ ენაში მაღალ დონეზე. რაც შეეხება უცხოელ სტუდენტებს, დაწესებულების ფარგლებში არსებობს ასევე ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამა, შესაბამისად ძალიან ბევრი საერთო აქვს ამ ორ პროგრამას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:28
დასრულების დრო: 16:44

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა 2.2 ქვეკომპონენტში განსაზღვრული რეკომენდაციებიდან საბჭოს მიერ მე-3 და მე-4 რეკომენდაციები გადავიდა რჩევების ნაწილში, ასევე, 2.3 ქვეკომპონენტში დაემატა 2 რეკომენდაცია.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

4.1 მოდიფიცირებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში აისახოს ასპექტი, სამიზნე ნიშნულიდან რა სიდიდის გადახრის შემთხვევაში განხორციელდება პროგრამის ცვლილება;
4.2 რეკომენდებულია გადამოწმდეს დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებთან მიმართებით, როგორიცაა: ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი", ,,ტურიზმის მარკეტინგი", ,,ეკო, აგრო და ღვინის ტურიზმი", ,,ველნესტურიზმი" და დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ,,ტურიზმის საფუძვლები";
4.3 რეკომენდებულია სასწავლო კურსს: ,,ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი", ტურიზმის საფუძვლების გარდა, წინაპირობად დაემატოს მენეჯმენტის საფუძვლები;
4.4 რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში (ტურიზმის მარკეტინგი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი, ტურისტული დესტინაციების მენეჯმენტი, ტურიზმის სტატისტიკა, ეკონომიკის პრინციპები, მარკეტინგის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ფინანსების თეორია, წერის უნარები, ტუროპერეიტინგი და ა.შ.) წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურის განახლება;
4.5 რეკომენდებულია, ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგ: მენეჯმენტის საფუძვლები, ლიდერობა და გუნდის მართვა, საქართველოს ისტორია და სხვ.) გადაიხედოს სწავლის შედეგები და სასწავლო თემატიკები;
4.6 პროგრამაში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენილი იქნას ,,ადამიანური რესურსების მართვის" სასწავლო კურსი;
4.7 რეკომენდებულია ,,საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესში" აისახოს ინფორმაცია კონკრეტული ინფორმაცია პლაგიატთან, ან ტექსტის დამთხვევის სამიზნე ნიშნულთან დაკავშირებით. ასევე, საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები და მექანიზმები.

რჩევები:

- სასურველია ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში და დაწესებულების ვებ-გვერდზე პირთა პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე, სამართლიან, საჯარო და ხელმისაწვდომ პროცედურებთან ერთად, აისახოს პროგრამის დაშვების წინაპირობების შესახებ-სავალდებულო საგნების/უცხოენების ჩამონათვალი;
- დაკორექტირდეს ტექნიკური ხარვეზი ,,ღონისძიების მენეჯმენტის და MICE ტურიზმი"-ს წინაპირობა: ტუროპე რეიტინგის ნაცვლად აისახოს ტურიზმის საფუძვლები და მენეჯმენტის საფუძვლები;
- ჩასწორდეს ტეექნიკური ხარვეზები საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობებში და სასწავლო კურსის ,,ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები" სილაბუსში სემესტრული განაწილებისა და კურსზე დაშვების წინაპირობთან დაკავშირებით;
- სასურველია პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში მიეთითოს სტუდენტთა რაოდენობა;

- სასურველია სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა და ჩართულობის წახალისება კვლევით პროექტებში;
- სასურველია, სასწავლო კურსებში „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ლიდერობა და გუნდის მართვა“ შეფასების მეთოდების გაუმჯობესება/დახვეწა;
- სასურველია, უნივერსიტეტმა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამიმსად ეფექტიანადა ამოქმედოს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სასწავლო მობილობის პროგრამები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	14.07.2020 გადაწყვეტილება № 599358
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართულ ენაში მომზადება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 4
9	კვალიფიკაციის დასახელება	-

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ზ. გორგილაძე/ვაჟა-ფშაველა19/32, ბათუმი 6010 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, 2022 წლის 16 აპრილს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დისტანციური ვიზიტი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. დისტანციური ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის 4 ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამაში აისახოს სახელოვნებო დარგის/დარგების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები;
2. რეკომენდებულია პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, საქართველოს მთავრობის დადგენილება 30/06/2020.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს და შესაბამისად გაატარებს აუცილებელ ცვლილებებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ნათლად არ ჩანს თუ უცხო ენის რომელ დონეს აღწევენ საბოლოოდ სტუდენტები. ამასთან საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რომელი სასწავლო კურსით იფარება სალიტერატურო ნორმების დაცვის საკითხები, ასევე სილაბუსებით არ ვლინდება თუ რომელი დონის გამომუშავებაზე არის ორიენტირებული ესა თუ ის სასწავლო კურსი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თუ რამ განაპირობა მე-2 რეკომენდაციის გაცემა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებელი სხვა კომპეტენციებთან ერთად მოითხოვს ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას. პროგრამაში ვხვდებით საკითხთან დაკავშირებულ ორ სასწავლო კურსს, თუმცა ორივე არის არჩევითი და მოცემულია მე-2 სემესტრში, ანუ სტუდენტს აქვს 5 კრედიტის არჩევის საშუალება. შესაბამისად, ის დაინტერესდა ხომ არ არის ამ ჭრილში დარგობრივ მახასიათებელთან აცდენა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რადგან პროგრამას არ ჰყოლია ბენეფიციარი, რა თქმა უნდა ვერ დადგინდებოდა, თუ რომელ დონეზე გადის ან შეიძლება გავიდეს პროგრამის ფარგლებში სტუდენტი. სასწავლო კურსებში და პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, საქართველოს მთავრობის დადგენილება 30/06/2020, რომლის მიხედვითაც, ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა სავალდებულოა ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა შემთხვევაში

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში გვხვდება საკმაოდ კარგი კომბინაცია, დაწესებულებისა და ქართული ენის სპეციალისტების სახით. საინტერესოა, ასევე დარგობრივი ენების ჩართულობაც.
რაც შეეხება ინტერკულტურული კომპეტენციების სასწავლო კურსებს, აღნიშნული ორი სასწავლო კურსი არის სავალდებულო არჩევითი საგანი და დარგობრივ ენასთან კომბინაციაში, და მათი შესწავლა ხდება მეორე სემესტრში. რაც შეეხება სწავლების დონეს, არის B1+.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში მიიღწევა B1+ დონე. ამასთან, მნიშვნელოვანია ბლოკების საკითხი, კერძოდ, სტუდენტთა გადანაწილება A და B ბლოკების მიხედვით ხორციელდება პირველი სემესტრის დასაწყისში ქართულ ენაში ჩატარებული პრეტესტის შედეგების საფუძველზე. პირველ სემესტრში გათვალისწიებულია ექვსი 5-კრედიტიანი სასწავლო კურსი. თითოეული კურსი წარმოდგენილია 2 ბლოკად: A ბლოკის კურსები - 60 საათის მოცულობით და B ბლოკის კურსები- 45 საათის მოცულობით. ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე შემსწავლელის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ბლოკში შეძლებს სტუდენტის სწავლის დაწყებას. A ბლოკი გათვალისწინებულია ქართული ენის ფლობის დაბალი კომპეტენციის მქონე სტუდენტებისთვის, სწავლება ხორციელდება მეტი საკონტაქტო-60 საათის საფუძველზე. კურსი ინტენსიური სწავლების პრინციპითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. B ბლოკი შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებზეა გათვლილი სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ემსახურება ქართული ენის ინტენსიურ შესწავლას. მეორე სემესტრში ხუთი 5-კრედიტიანი სავალდებულო კურსია, რომლებიც შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას ემსახურება (კითხვა, წერა, ლაპარაკი, ლექსიკა და გრამატიკა, ორთოეპია-მართლწერა); მეორე სემესტრის სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს: განსხვავებული ტიპის ტექსტებზე მუშაობას, ენათა კონტაქტების, ენისა და კულტურის, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის შესწავლას, რაც ასახულია სასწავლო კურსში „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები -2“. დამატებით, მეორე სემესტრში შემოღებულ იქნა ორი 5 კრედიტიანი არჩევითი სასწავლო კურსი: „დარგობრივი ლექსიკა“. „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“.
სასწავლო კურსი „დარგობრივი ლექსიკა“ ბლოკის სახითაა წარმოდგენილი, საიდანაც სტუდენტი ირჩევს მისთვის სასურველ ერთ-ერთს. ბლოკის სასწავლო კურსები ითვალისწინებს სხვადასხვა დარგის (დიზაინი, ხელოვნებათმცოდნეობა, ხელოვნების მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი, აუდიოვიზუალური ხელოვნება, მუსიკა, არქიტექტურა, სასცენო 15 ხელოვნება, ტელე-რადიო ჟურნალისტიკა) ლექსიკის, ტერმინოლოგიისა და სპეციფიკური კონსტრუქციების შესწავლას, რომლებსაც ირჩევენ სტუდენტები უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურზე. სასწავლო კურსი „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“ ინტერკულტურული დისციპლინაა და საგნის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება (კურსი შემუშავდა ეუთოს ეუუკის პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“ ფარგლებში).

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:19
დასრულების დრო: 17:38

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.3 ქვეკომპონენტში საბჭოს მიერ დაემატა ორი რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

4.1 რეკომენდებულია, პროგრამაში აისახოს სახელოვნებო დარგის/დარგების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები;
4.2 რეკომენდებულია პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, საქართველოს მთავრობის დადგენილება 30/06/2020;
4.3 რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“ სტატუსი განისაზღვროს სავალდებულო კურსად;
4.4 რეკომენდებულია, ქართული ენის პრაქტიკული სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში აისახოს ენის ფლობის დონის მიღწევა.

რჩევები:

- მიზანშეწონილია, პროგრამის პოპულარიზაცია სამიზნე ჯგუფებში, რათა პრორგამამ მოიზიდოს დაინტერესებული სტუდენტები;
- სასურველია, გადაიხედოს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- სასურველია, რომ ბიბლიოთეკის კატალოგში მოწესრიგდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მონაცემები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

"ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს წევრებმა ასევე კენჭი უყარეს დაწესებულებების შუამდგომლობას მიღებული გადაწყვეტილებების მიმდინარე სხდომაზე, 2022 წლის 10 ივნისიდან ძალაში შესვლის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:40 სთ-ზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით